რეიდი ხურცილავასი, დარტყმა გ. ნოდიასი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 28 ივლისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (1:0).

“ტორპედო”: ბანიკოვი, იანეცი, პახომოვი, კრასნოვი, იურინი, შუსტიკოვი, დეგტიარევი, პაისი, სმირნოვი (გერშკოვიჩი), ნიკონოვი, შალიმოვი (ფეტისოვი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (ჭელიძე), პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფვიანი, გ. ნოდია, მეტრეველი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 4:2 “დინამოს” სასარგებლოდ.

ამ ორ გუნდს ერთმანეთთან შეხვედრისას არაფერი აქვს მოსასინჯი და დასაზვერი. ისინი დიდ ხანია ზედმიწევნით კარგად იცნობენ ერთმანეთს და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წლეულს უკვე ორჯერ ითამაშეს: ჩემპიონატის პირველ წრეში და თასის მეოთხედფინალში.

ამიტომ მეტოქეთა გეგმაში არც ამჯერად იყო დიდი საიდუმლოებანი ჩამარხული: ტორპედოელებმა თამაში დაიწყეს კომბინაციურად, მრავალსვლიანი გადაცემებით, ხოლო ხტუმრებმა მოწინააღმდეგეს სწრაფი გარღვევები შესთავაზეს. პირველი 20 წუთის მანძილზე უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ. ისინი ხშირად გადიოდნენ მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ტორპედოელებმა აქ მცველთა დიდ ძალებს მოუყარეს თავი, რამაც თბილისელებს არ მისცა კარში დარტყმის საშუალება.

მაშინ დინამოელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს - შორიდან შეუდგნენ ბანიკოვის ბომბარდირებას. გავაშელმა ძელს მოახვედრა ბურთი, მცირე მანძილით ასცდა მიზანს გ. ნოდიასა და ხინჩაგაშვილის დარტყმები.

“ტორპედომ” თანდათან გაათანაბრა თამაში და მალე, 37-ე წუთზე, გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ ეს იყო “დინამოს” მეკარე ურუშაძის აშკარა შეცდომის შედეგი. მან საკმაოდ იოლი ბურთი უკუაგდო პირდაპირ სმირნოვისკენ, რომელმაც არ დააყოვნა ამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენება.

შესვენების შემდეგ უპირატესობამ მოსკოველთა მხარეს გადაინაცვლა. ახლა სრული დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა “დინამოს” მცველებსა და ურუშაძეს.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და დინამოელები მარცხის აშკარა საშიშროების წინაშე იდგნენ. გუნდმა მთელი თავისი ძალა და შესაძლებლობანი ჩააქსოვა მატჩის დასასრულს. განსაკუთრებული ენერგიით იბრძოდა ხურცილავა. მისი რამდენიმე შესანიშნავი რეიდიდან ერთ-ერთი დამთავრდა ცენტრში ბურთის გადაცემით. აქ ადგილზე აღმოჩნდა გ. ნოდია, რომელმაც კარგად დაარტყა - 1:1.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 31 ივლისი, 1971 წ.